



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.
www.ozurgeti.gov.ge

ქ. ოზურგეთი

N 9
31/01/2017

9-03-4-201701311229



განკარგულება №9
31 იანვარი 2017 წელი

„ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების თანახმად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. მოწონებული იქნეს, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2017 წელს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და

დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტები, დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის).

მუხლი 2. საპროექტო წინადადება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებასთან ერთად წარედგინოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს.

მუხლი 3. განკარგულება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14) მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

გელა კობალაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა